განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

ბრძანება

MES 5 23 0001520953

09/11/2023

თბილისი

„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 9 თებერვლის N150909 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 11 მაისის N533704 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 07 ნოემბრის N1509544 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 9 თებერვლის N150909 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამა (პროგრამული კოდი 32 04 02 06) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის მოადგილე
ნოდარ პაპუკაშვილი